საგანგებოს მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით სახანძრო ლიფტების მოწყობის პროექტს.

გთხოვთ ხელახლა გადაგზავნოთ განაცხადი საგანგებოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 23 02624699

08/09/2023

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის-
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)(მოვალეობის შემსრულებელი)
ქალბატონ **თამარ ჩინჩალაძეს**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2023 წლის 6 სექტემბრის №60-01232483252 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის №71-ში და მატროსოვის ქ. №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.17.12.005.064) ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის I ბლოკის შენობის კორექტირებული ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელი ნორმების, ტექნიკური რეგლამენტების და სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ხანძარსაწინაარმდეგო დაცვის სისტემების პროექტები (გარე და შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგება; ავტომატური სახანძრო სიგნალიზაცია; კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის და დაწნევის სისტემები; ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემა; ხანძრის შესახებ ტექსტური შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემა; ავარიული განათება) შეესაბამება სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებს.

ამასთან ერტად დამატებით გაცნობებთ, რომ წარმოსადგენია სახანძრო-სამაშველო დანაყოფებისათვის მისადგომი ლიფტების მოწყობის პროექტი.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების
მართვის სამსახური

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი



სახანძრო ლიფტის მოწყობის პროექტი

ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობა სამგორი 71

"სახლი 71" ბლოკი I

მრავალფუნქციური შენობა

ქ.თბილისი, ქეთევან წამებული N71 / მატროსოვის ქუჩა N7

ს/კ: 01.17.12.005.064



ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. #126

თბილისი
2023 წ.

სახანძრო სამაშველო ლიფტის განმარტება

სახანძრო ლიფტია მუშაობის ფაზა შედგება 3 ეტაპისგან:

1. პირველი რეჟიმი შედგება ჩვეულებრივი სამგზავრო სტანდარტული ლიფტის ფუნქციების და სახალხოდ გამოყენებადი ლიფტის მუშაობის რეჟიმისგან.
2. მეორე მუშაობის რეჟიმი (PHASE1) აქტიურდება ავტომატურად შენობაში ხანძრის დაფიქსირების შემდეგ ან მექანიკური გზით როდესაც უნდა გააქიუტდეს სპეციუალური გასაღებით. ამ რეჟიმის დროს ლიფტი ჩამოდის სახანძროდ გათვლილ სართულზე, აღებს კარებს და აღარ რეაგირებს სხვა სართულებიდან ლიფტის გამოძახებაზე.
3. მესამე მუშაობის რეჟიმი (PHASE2). ეს რეჟიმი აქტიურდება მხოლოდ მექანიკურად, კაბინაში არსებული სპეციალური გასაღებით მხოლოდ სახანძრო სამაშველო დანაყოფის მიერ როდესაც ლიფტი გადადის სახანძრო (ხელით) მართვაზე, რაც ნიშნავს რომ მეძანძრე კაბინის კარების დაკეტვას შეძლებს მხოლოდ კარების დაკეტვის ღილაკის PRESS&HOLD სტილით დაჭერის შემდეგ და თუ კარი არ არის ბოლომდე დაკეტილი და მეხანძრემ აუშვა ღილაკს ხელი კარი ისევ იღება, ასევე მოქმედებს კარის გაღების შემთხვევაშიც, კარის დაკეტვის შემდეგ ლიფტი დაიძვრება მითითებულ სართულზე მაგრამ კარებს არ გააღებს მისვლის შემდეგ თუ მეხანძრე არ დააჭერს თითს კარის გაღების ღილაკს.
   ეს ფუნქციები აქტიურია შახტაში უხვი წყლის, კვამლის და ცეცლხის მოხვედრის შემდეგაც.



სურათი N1. სახანძრო სამაშველო ლიფტის აღნიშვნა.

სახანძრო სამაშველო ლიფტი



სურათი N2. სახანძრო სამაშველო ლიფტისა და დაცული ვესტიბიულის განლაგება

ფოიე

- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს გარეთ დაყენებული ავტოსაშხეფი სისტემის მუშაობისას ლიფტის შახტის შემომზღუდავში წყლის გაჟონვა ნებადართული მეთოდით თავიდან უნდა იქნეს აცილებული.
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტი მისთვის მოწყობილ ფოეში უნდა გადიოდის, ხოლო უშუალოდ ფოიე უნდა უკავშირდებოდეს შიგა გასასვლელის გზა-კიბისთვის განკუთვნილ შემომზღუდავს.
- ფოიეს შემომზღუდავი ტიხრები არანაკლებ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის უნდა იყოს.
- ლიფტის შახტში შესასვლელი კარის გარდა სანაძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს ყველა გზა-კარი არანაკლებ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის უნდა იყოს.
- ფოიეს ფართობის სულ მცირე 14 მ^2 უნდა იყოს, ზომა კი სულ მცირე 2.4 მ.



სურათი N3 კაბინიდან გამავალი საავარიო ლუქი და პორტატული კიბე, რომელიც შესაძლოა ადამიანმა გამოიყენოს თვითგადარჩენისთვის მეხანძრე მაშველის მოსვლამდე.



სურათი N4 კაბინიდან გამავალი საავარიო ლუქი და პორტატული კიბე, რომელიც შესაძლოა მეხანძრე მაშველმა გამოიყენოს კაბინაში შესაღწევად.



სურათი N5
სახანძრო სამაშველო ლიფტის აღნიშვნა

აღნიშვნა

- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომ ლიფტის ფოიეში ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს ჩარჩოს მარჯვენა კუთხეში სტანდარტული დიზაინის გრაფიკული სიმბოლო უნდა განთავსდეს, რომელიც მიუთითებს, რომელი ლიფტებია სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი.
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლოს სიმაღლე, არანაკლებ, 7.5 სმ უნდა იყოს.
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლოს შვეული შუახაზი ლიფტის შახტის კარის ჩარჩოს შუაში უნდა იყოს. სიმბოლოები არ უნდა განთავსდეს ზღურბლთან მოპირკეთებული იატაკიდან 1.98 მ-ის ქვემოთ და 2.15 მ-ის ზემოთ.
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის სიმბოლო:



სურათი N6 გასაღები, რომლის გამოყენების შემდეგაც მეხანძრე მაშველი შეძლებს სახანძრო ლიფტით სარგებლობას.



სურათი N7 სახანძრო სამაშველო ლიფტის კაბინა.

კაბინა

სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის განკუთვნილი ლიფტის კაბინაში შესაძლებელი უნდა იყოს 60 სმ X 2.15 მ ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. კარადაზე დატანილი უნდა იყოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო (სიცოცხლის ვარსკვლავი). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და დატანილი უნდა იყოს შიგნიდან ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს ორივე მხარეს.

სურათი N8 სახანძრო სამაშველო ლიფტის შახტა.



სახანძრო ლიფტი

	ლიფტის	სპეციფიკაციები
1	ლიფტის ტიპი	საგანგებო სამსახურისთვის განკუთვნილი სახანძრო სამაშველო ლიფტი
2	ლიფტის სტანდარტი	EN81-72
3	გაჩერებების რაოდენობა	16
4	სამანქანო ოთახი	კი
5	ტვირთამწეობა	1600 კგ
6	კაბინის სიგანე	1200
7	კაბინის სიგრძე	2200
8	სახურავზე საავარიო ლუქი	კი
9	კაბინის სიმაღლე	2400
10	საავარიო კიბე	კი
11	მთავარი მომსახურე გაჩერება	სახანძრო სამაშველო ლიფტის ნიშანი და სახანძრო მართვის გამააქტიურებლი გასაღებით
12	შენობაში ხანძრის დროს აქტივაცია	ლიფტი უერთდება შენობის მთავარ სახანძრო დეტექტორების მართვის კარადას.იმ შემთხვევაში თუ შენობაში ხანძარი დაფიქსირდება ლიფტი გადადის სახანძრო PHASE 1 მოქმედებაზე. ჩადის მთავარ მომსახურე სართულზე. აღებს კარებს და აღარ იძვრის სამაშველო სამსახურის მოსვლამდე.
13	ელექტრო ენერგიის საავარიო კვება	სტანდარტული ARD, დენის გათიშვის შემთხვევაში კაბინას მიიყვანს უახლოეს სართულამდე. სახანძრო სამაშველო ლიფტი უნდა მიუერთდეს შენობაში გამოყოფილ დამატებით ელექტროწყაროს რომელიც საშუალებას მისცემს ლიფტს იმუშაოს მინიმუმ 2 საათის განმავლობაში.